



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დოლიძე ისიდორე სამსონის ძე



ი. დოლიძე

დოლიძე ისიდორე სამსონის ძე [23. III (5. IV). 1915, სოფ. ხვარბეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, - 17. VII. 1982, თბილისი], მეცნიერი, იურისტი, სამართლის ისტორიკოსი. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). იურიდ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1958). 1933-36 სწავლობდა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტბე. 1938 დაამთავრა სვერდლოვსკის (ეკატერინბურგი) იურიდ. ინტი, 1941 - მოსკ. იურიდ. ინ-ტის ასპირანტურა. 1941-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტბე. 1946-47 იყო საბჭ. საელჩოს თანამშრომელი ლონდონში, 1947-48 - თსუ-ის

იურიდ. ფაკ-ტის დეკანი და სახელმწ. სამართ. კათედრის გამგე, 1949-52 - საქართვე. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნ. საქმეთა სამმართველოს უფროსი, 1954-57 - საქართვე. უმაღლესი სასამართლოს თავ-რე, 1957-60 - საქ. კპ ცკ-ის მდივანი, 1960- 66 - საქართვე. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, 1967-იდან - საქართვე. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართ. ინ-ტის ქართ. სამართ. ისტორიის განყ-ბის გამგე. დ. მუშაობდა ქართ. სამართ. ისტ. და სამართ. ზოგადი ისტ. დარგში. იკვლევდა ქართ. სამართ. ისტ. და წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მთავარი ნაშრომები: „ძველი ქართული სამართალი“ (1953), „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“ (1957), „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ (1960), სამართალი ვახტანგ მეექვსისა (1981; ნ. ბერძენიშვილის სახ. პრემია, 1982). გამოსცა ქართ. სამართ. წერილობითი წყაროების რვატომეული - „ქართული სამართლის ძეგლები“ (1963-85, ტექსტები, გამოკვლევები, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები); შეკრიბა, რედაქცია გაუკეთა და გამოაქვეყნა ნ. ხიზანაშვილის

„რჩეული იურიდიული ნაწერები" (1982). სსრკ V მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და საქ. სსრ III–IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია. ჟილდოები.

ლიტ.: ისიდორე დოლიძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ი. დუდუჩავა, ლ. ქირია, თბ., 1986.

---